საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №109/04
2018 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 11/08/2017; ს/კ: 200020000.18.011.016253) დამტკიცებული წესის დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით კომერციული ბანკები ხელმძღვანელობენ „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1-ის ცხრილი №1-ის და ცხრილი №2-ის ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული რედაქციით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**

დანართი 1
ცხრილი №1

ყოველთვიური წმინდა შემოსავლების მოცულობა ლარში	სესხის მომსახურების კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი ჰეჯირებული მსესხებლებისათვის	სესხის მომსახურების კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი – არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის –
1000 მდე	30%	20%
1000 დან-2000-მდე	35%	25%
2000 დან-4000-მდე	40%	30%
4000 დან-8000-მდე	45%	35%
8000-დან	50%	40%

ცხრილი №2

	ლარში გაცემული სესხები	უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი	80%	70%
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალლიკვიდური უძრავი ქონების შემთხვევაში – მაქსიმალური მაჩვენებელი	90%	80%